# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

**რედაქცია**

ერევნის მოედანზე, [illegible] თავში მარცხნივ თ. ლ[illegible] [illegible]თინსკის სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**

მიიღება „დროება“ „ივერიის“ რედაქციაში. გარე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ ред. „Дроэба“-„Иверія“

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა 2 მან.

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის [illegible] სტრიქონით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოშტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.



1 აგვისტოდამ წლის დამლევამდის

**დროება**

ღირს ოთხი მანეთი

**ივერია**

ოთხი მანეთი

„დროება“ და „ივერია“ ერთად

შვიდი მანეთი


## ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 17 აგვისტოს. „მმართებლობის მოამბე“ გვაცნობებს: დროებით განთავისუფლებული კავკასიის შანყოფილების კომიტეტის საქმის მმართველი ოსტროვიდოვი დაბრუნდა და დაიწყო თავის საქმეთა ასრულება. მანსუროვი დაინიშნა სტატ-სეკრეტრად და მინისტრთა კომიტეტის საქმეების მმართველად. სკალკოვსკის მიეცა სტატსკის სოვეტნიკობა და დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრის კანცელარიის მმართველად.

რაგუზა. რიზა-ფაშამ შეკრიბა ალბანიის კავშირის მოთავენი და ურჩია ბერლინის კონფერენციის განაჩენს დამორჩილებოდენ. მოთავენი არ დათანხმდენ. ფაშამ მოინდომა მათი დატუსაღება, მაგრამ მცხოვრებლებმა თავი გამოიდვეს და სიკვდილით დაემუქრნენ რიზას. დულცინიოის მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს ქალაქის გადაწვა თუ ვიტიცობაა იძულებულნი იქნენ იგი დაუთმონ ჩერნოგორელებს.

## მომავალი არხეოლოგიური კრება თბილისში.

ტფილისი, 18 აგვისტოს.

ზაისს, ამა დროს, თბილისში შეიყრებიან რუსის არხეოლოგები, რომელთაც ისურვეს მეხუთე საზოგადო კრება არხეოლოგებთა მოახდინონ ჩვენს ქალაქში.

თბილისზე უკეთესს პუნკტს, არხეოლოგიური კრების-თვის, ბ. ბ. არხეოლოგები მთელს იმპერიაში ვერ მოსძებნიდნენ. ძველი კოლხიდა, ძველი იბერია, ძველებური ბერძნების კოლონია, ძველათ ძველი სახელმწიფოები, ძველი ლიტერატურა... სადაც არ მიიხედავ სულ ძველი და ძველი...

არა ვგონი, რომ სხვა უკეთესი ადგილი მოიპოვებოდეს დედა-მიწაზე, საბერძნეთს და მგვიპტეს გარდა, სადაც ადგილს ჰქონდეს კავკასიაზე უფრო დიდი არხეოლოგიური ინტერესი.

მაგრამ ეს არხეოლოგიური სიმდიდრე, რომელიც არის გაფანტული კავკასიის სხვა და სხვა ნაწილებში, არის თუ არა ისეთ ნაირად მაინც დამზადებული, რომ კრებას შეეძლოს იმათი ნახვა, და თუ ნახვა არა, ფოტოგრაფიით, ან აწერით მაინც იმათი წარმოდგენა? არის თუ არა ეს არხეოლოგიური მატერიალები იმდენათ შემუშავებული და ცნობილი, რომ კრებას ეკითხოს მხოლოდ ისეთი საგნები, რომლებიც საეჭვოთ რჩება გამომეძიებელს და რომელზედაც უკანასკნელი სიტყვა უნდა წარმოსთქვას ავტორიტეტით აღჭურვილმა კრებამ. კრებას კი არ შეუძლია თითეული საგანი, რომელზედაც იქნება სჯა თავიდამ გაარჩიოს და შეისწავლოს, იმას მხოლოდ უნდა ეკითხოს მართალია თუ არა ეს და ეს დასკვნა, რომელიც ამა და ამ გამომეძიებელს, ან კამისიას, გამოჰყავს ამ წარწერიდამ, ან ამ გამურული ხის ტოტიდამ და სხვ...

ჩვენ ეჭვნეულობით, რომ საქმე ამგვარად იყოს დამზადებული ჩვენში.

ამ თავითვე ვთქვათ, ძნელიც არის ისეთ ქალაქში, როგორიც არის თბილისი, სადაც არც ერთი მაღალი სასწავლებელი არ არის, სადაც არც ერთი სწავლული არ სცხოვრობს, და ამასთან, სადაც მატერიალური საშვალება, მომავალი არხეოლოგიურ კრებას დაუხვდეს რიგიანათ დამზადებული ნიადაგი. ჩვენ არ ვიცნობთ, ბაერნს გარდა, სხვა არხეოლოგს, რომელსაც არხეოლოგია თავისი პროფესიათ გაეხადოს თბილისში და რომელსაც შეეძლოს წარუდგინოს ნამდვილი შრომა—კარგი თუ ცუდი—არხეოლოგებთ კრებას.

არხეოლოგიის მოყვარეთაგან, რომელნიც მშვენიერის დანდოებით დაეძებენ თბილისის ქუჩებზე ძველ მანეთებს და წარწერებს, არხეოლოგიის მეცნიერება ბევრს ვერას შეიძენს რა. ორიოდ-სამი პირი, რომ...

## ფელეტონი

### მოხევეები და იმათი ცხოვრება*)

### IX

მოხევეებში ცრუ მორწმუნეობა არ არის იშვიათი. მაგრამ ეს მორწმუნეობა, რაღაც გაურკვეველობით გაურკვეველობით გამოიჩენს თავს. მაგალითად, იმათა სწამთ: ქადაგი, სჯერათ ეშმაკების, მდევების და ალების ყოფნა და ყოველ გვარს შემთხვევას და მოვლინებას მიაწერენ, რომელიმე ხატისაგან განრისხებას. წარსული კერპთ თაყვანის ცემას, გადმოცემულს მამებისგან შვილებზედ, ეხლანდელ მოხევეებამდინ მოუხწევია რაღაცა არეულს და ანგარიშ მიუცემელს რწმუნებათ. ამას დეემატა ათასი რიგი ბუნებისაგან სხვა და სხვა მოვლინება, რომელიც მთაში ერთი ათად უფრო უძლიერესად ცხოვლდება და რადგანაც ხედამენ ამას და ანგარიშში კი ვერ მიუციათ, ამისთვისაც ყოველ ბუნების მოქმედებასაც მიაწერენ, რაღაც უხილავს ძალას. ქრისტიანობა და კერპთ-თაყვანისცემა იქამდინ გადარეული აქვსთ მოხევეებს, რომ თითონაც ვერ მიუციათ ანგარიში, რა რიგი სული სადა მოქმედობს, რა რიგათა სწამთ. იმათ ერთი რწმუნება აქვსთ, რომ სახლსა, თუ საქონელს, თუ თითონ ადამიანს თავისი ანგელოზი ჰყავს, რომელსაც მინიჭებული აქვს იზრუნოს იმ პირისათვის, რომელიც ღმერთს ჩაუბარებია. ამისთვის ის ყოველთვის მზათ არის შეეხვეწოს ამ წმინდანს და როგორც ლხინისა და ქეიფის მოყვარულმა, დროს გასატარებელი სამღვთო გაუკეთოს. ამის გამოისობით, ისე არ გავლენ სათიბლათ, რომ თიბის თავი არ გააკეთონ, არ გავლენ სამკალად, რომ ისევ ეს სამრთო არ გადაიხადონ; ავრეთვე ძნის ზიდვაში*), ლეწვაში, საქონლის საკვებავათ წასხმაში, იმათ დაბრუნებაში და სხვა ყოველი საქმე სამღვთოთი იწყება და ამითვე თავდება. მაგრამ ყველა ეს რმუნება, როგორღაც ისე არის მოყვანილი, რომ თაეიანთ საქეიფოთ უფრო არის გამხდარი, სანამ სხვა და სხვა ანგელოზების და ხატების სალოცავად. მართალია არც ერთი სამრთო არ გაიმართება, არც ერთი სუფრა არ დაიდგმის ისე, რომ გვარის უფროსმა წმინდა სანთელი არ აანთოს, არ ახსენოს, ხეური ჯვარ-ანგელოზნი, არ დაილოცოს და არ შეეხვეწოს იმათ, მაგრამ გარდა რამდენიმე სიტყვისა, რომელიც ხვეწნას ემგზავსება, დანარჩენი მთელი საუბარი ანუ ლოცვა უფრო უმცროსების დარიგებას მიემგზავსება, სანამ ლოცვას. ისა სთხოვს ხეურ ჯვარ ანგელოზობას, რომ იმან მშვიდობიანათ გაათავებინოს ესა და ეს საქმე, რომ ამხანაგის ღალატი გულს არავის გაუვლოს, რომ ხეური ყმაწყილი ბიჭების გულადობა და სიმართლე სამაგალითოდ გახადოს, რომ იმათი შრომა მოხუცების თავმოსაწონი იყოს და სხვა და სხვა.

არა იშვიათად გაიგონებთ მოხევისაგან, რომ რაღაც მოეჩვენათ და თუმცა ერთი მხრით გარწმუნებს ამაში, მეორე მხრით კი ისევ თითონვე იგდებს მასხარად, როგორც თავის თავს, ისე იმ მოჩვენებას. ასე, რომ იმათი მოქმედებიდგან თქვენ ვერ გადაიწყვეტიათ; თუ რამდენათა არიან დამონებულნი მოხევეები ამ ცრუმორწმუნეობით.

მაგალითად ერთხელ ერთს სოფელში დამთვრალიყო ერთი მოხევე, ხულელთ პავლე და გზა კლდეზედ გამოსასვლელი ჰქონოდა. ამ კაცს ფეხი დასხლეტიყო, თუ რაღაცა ღმერთი გასწყრომიყო, კლდეზედ გადმოვარდნილა და დამტვრეულა. მეორეს დღეს, როდესაც სოფლად გამოვიდოდა ხალხმა ჰკითხა პირის სახის დაკაწრვისა და დამტვრევის მიზეზი, იმას შეეშინდა, ლოთობისათვის მასხარად არ აიგდონ და მოიგონა, რომ დევი დახვდა და იმან გახადა ასე *). იქვე გაკვირვებით თითქო დარწმუნებით ყურს უგდებდნენ პ. ხულელის მოთხრობას, თუ როგორ ებრძოლებოდა დევს და იქავე, ისევ ისენი ვინც ყურს უგდებდნენ, პირში მასხრათ იგდებდნენ, ლექსიც კი გამოუთქვეს. ეს ლექსი საუბედუროთ აღარ მახსოვს, რომ გადმომეცა თქვენთვის, მაგრამ შინაარსი კი ის იყო, რომ დაჭარბებული ლურჯა (არაყი) ტიელა ერთს დევს კი არა, თუნდა ათას დევს მოაჩვენებს და არამც თუ ეშმაკებთან ალაპარაკებს და კიდეც ათამაშებს. ერთის სიტყვით ამ ლექსში პავლე ხულელი გამოყვანილი იყო დონკიხოტად, რომელიც ქარის წისქვილებს და უბრალო ჰაერს ეომებოდა.

მაგის გარეთ, რომ მკვდრის სახლის ბანზედ, ღამე, რომ დასხდნენ, მოეჩვენებათ ერთი უცნაური რაღაც

---

*) იხილე № 162 „დროებისა“.

*) ძნას სანამ უხარო ხალხს არ შემოუზიდამენ, ხარიანებს ვერ შეუძლიანთ ურემი შეაბან და ეს კიდევ ამტკიცებს მოხევეებისაგან ერთი ერთმანეთის შველის სურვილს, რომელიც წესად გადაქცეულა.

*) ქეიფი თუმცა უყვარსთ მოხევე კაცებს, მაგრამ იქამდისინ დათრობა, რომ გზაში სადმე დარჩეს დიდს სამარცხვინოთ მიაჩნიათ.

მილთაც შეუძლიათ რამე ხეირიანი შრომა წარუდგინონ კრებას, როგორც მაგ. დ. ბაქრაძე, ბ. ერიცოვი და სხვ. მოკლებულნი არიან ღონისძიებას იმუშაონ ამ კრებისთვის (სამსახურისა გამო) და უბრალო რამე სტატიებით აასრულებენ თავიანთ მოვალეობას „კრებასთან“.

ის კითხვები, რომელნიც დაბეჭდეს არხეოლოგიურ საზოგადოების პროტოკოლში და რომელნიც უნდა იქმნენ განმარტებულ „კრებაში“ ან არიან ძლიერ უბრალო ან და ეკუთვნიან წმიდათ ისტორიულ კითხვებს, რომელთ განმარტება უნდა იძიებოდეს თითონ წიგნებში. ასე რომ ეს ნიადაგი, ეს მატერიალი, რომელიც უნდა გასინჯოს და შეიმუშაოს არხეოლოგიურ კრებამ ერთობ სუსტად არის შემდგარი და, ფატალურად, თითონ კრებასაც გადასდებს ამ თავის სისუსტეს.

ერთი იმედი მაინც ვიქონიოთ საზოგადოებაში. ეს რომ მომავალი არხეოლოგიური კრება დასდებს საფუძველ კავკასიის არხეოლოგიურ შესწავლას. იმ ცოტა მატერიალიდამ, რომელსაც წარუდგენენ ამ „კრებას“ იმდენს მაინც დაინახავს, რომ შეადგინოს პროგრამმა მომავალი არხეოლოგიური მუშაობისა კავკასიაში. მხოლოდ მაშინ, როდესაც შედგება ამ ნაირი პროგრამმა და მომავალი „კრება“, თავისი ავტორიტეტული შუა-მავლობით დააჯერებს მმართებლობას, რომ ამ ნაირი საქმე, როგორიც არის არხეოლოგიური შესწავლა კავკასიისა, თბილისის მატერიალურ და ინტელექტუალურ რესსურსებთან, შეუძლებელია მმართებლობის დაუხმარებლათ, მხოლოთ მაშინ, ვიმეორებთ, ექნება მნიშვნელობა არხეოლოგიურ კრებას თბილისში. მანამდის კი არავითარი მეცნიერული ნაყოფის მოლოდინე არა ვართ ჩვენ ამ ნაირი „კრებისაგან“.

## ახალი ამბები

შორაპნის მაზრის სოფ. ჩხარიდამ გვაცნობებენ:

„ერთმა აქაურმა მღვდელმა გაავრცელა ხმა რომ მას ყოველ-გვარი ავათმყოფობის მორჩენა შეუძლია წმ. სახარებიდამ ალაგების კითხვითა. მართლაც რამდენიმე ავათმყოფები, რომელთაც ეს მღვდელი უკითხავდა წმ. სახარებას, თავიანთ ბუნების წყალობით უწამლოდ მორჩნენ. მღვდელს მკურნალისა და თითქმის სასწაულმოქმედის სახელიც დაუვარდა. კაცმა არ იცის სანამდი გასტანდა ეს ცუდლუტობა, რომ ბოლოს ერთს შემთხვევას შესაფერის სიმკაცრით ბოლო არ მოეღო მისთვის. ერთი აზნაურის სახლის წევრი გახდა მძიმე ავად, და მოსარჩენად მიიყვანე'ს ზემოხსენებული ღვდელი თავის სახარებით. გაიდა კვირა ავათმყოფი თან-და-თან უარესად ხდება, და ღვდელი თან-და-თან უფრო გულდასმით, დინჯად ჰკითხულობს. მეათე დღეს, ღვდლის კითხვის დროს, ავათმყოფს სული ამოხდა. გაშმაგებულნი ნათესავები მიცვივდნენ სუტ-მკურნალ მღვდელს, ერთი მადიანად დასწიხლეს, რაც მიეცათ საკითხავად ორი იმდენი გადაახდევინეს და პალურით გაისტუმრეს.“

რა სასაცილო, იქნებოდა ასე სამწუხარო რომ არ იყოს! მოდი ახლა და დასცინე დაბალი ხალხის ნაკლულევანებას, როცა მისი, მასწავლებელნი ამისთანა საქმეებს სჩადიან!

* * *

იმერეთიდამ გვწერენ, რომ იქ ღვინის უხვ'ს მოსავალს ელიან, რადგანაც ვენახებს ძალიან ასხია და დანაცვრით კი არსად დაუნაცრავსო.

* * *

ჩვენ მივიღეთ მეორე №-რი „კავკასიის სამეურნეო საზოგადოების“ ანგარიშისა, რომელშიაც ამაოდ ვეძიეთ საყურადღებო სტატია, ანუ ცნობა, ანუ ახალი ამბები მაინც... მაგრამ, უკაცრავად: ერთი ახალი ამბავია ვიღაც ტუსკაევისა, რომელიც გვაცნობებს ჩრდილოეთს კავკასიაში აპრილის თვე ერთობ ცივი იყოვო...

## „დროების“ კორრესპონდენცია

**ზუგდიდი,** 11 აგვისტოს. დიდი ხანია ჩვენს ქალაქიდამ არ გამოგზავნილა თქვენს გაზეთში წერილი, მაგრამ ამით ის კი არ იფიქროთ რომ მოსაწერი არაფერი იყოს; არა, მოსაწერი ბევრია, მაგრამ მომწერელი არვინაა, რადგანაც „გარემოებათა გამო სხვათა და სხვათა“ იმედი არ აქვთ რომ იმათმა ნაწერმა სასურველი შედეგი გამოიწვიოს. მე ჯერ კიდევ არ დამიკარგავს ეს იმედი და ვისურვებ ჩემს წერილს ყურადღება — [illegible] იმათ, ვისიც ჯერ არს. მოგეხსენებათ, რომ ჩვენი მხარე ნაქებია შესახებ ქურდობისა. დიდი და პატარა სულ იმითია გართული. ამას წინეთ ერთმა კაცმა მოიპარა ორასი მანეთის ღირებული ცხენი და არგამა*) ჭაკ ცხენში გაცვალა. ეს ჭაკი ცხენიც მოპარული ყოფილიყო, იცნო პატრონმა და მოჰკიდა თავის ცხენს ხელი. ქურდი აცხადებს ამა და ამ კაცმა მომცაო. აღმოჩნდა რომ ამ ჭაკი ცხენს ერთი წლის განმავალობაში ორმოც-და-ათი კაცის ხელში გაუარია. პატრონმა ორმოც-და-ათს კაცთან უნდა იქონიოს საქმე თუ უნდა მოპარული ცხენი დაიბრუნოს, მაგრამ ის არჩევს ისევ თავი დაანებოს ცხენს და ეხლანდელის კანონის და გარემოებათა გმობით დაკმაყოფილდეს.

ერთი წელიწადი განმავალობს მას აქეთ რაც საზოგადოებამ ამოირჩია ხევის თავები და მათ ერთი პირი უფროსად მისცეს, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ამ უფროსს პირს ამ ბოლოს დროს ერთი პატარა ნაკლი გამოაჩნდა: მიტოვებულ ცხენის ქურდობის მაგიერ მას დაუწყია დუქნებიდან ჩითების ქურდობა და ჯერეც ვარჯიშობს ამ ხელობაში...

სადაც ეგრეთი ხალხი არის, მე მგონია საჭირო უნდა იყოს ამ სენის მოსასპობლად სხვა ნაირი ღონისძიების მიღება და მოჭირნეობა ადგილობრივ მოხელეთა, რომლებიც უნდა იყვნენ ჩვენის ხალხის ენის და

*) არგამს ადგილობრივად ეძახიან ერთი წლის მოპარულს.

---

რომელსაც „ადგილის დედას“ ეძახიან და ის რაღაცა კაცსა ჰგავს, მაგრამ თავის სიდიდით უმაღლეს მთას შეედარება. ვითომც ეს ადგილის დედა ჩამოსთვლის იმის სახელებს, ვინც ამ სოფელში უნდა დაიხოცნენ, იმ წლის განმავლობაში, მაგრამ ხელის-ხელ ამასთან, ისევ ამ რწმუნებასაც თითონვე იგდებენ მასხარად. ერთი კაცის სულის უკვდავება სჯერათ და დარწმუნებულნი არიან, რომ ის საიქიოს ისე გრძნობს, როგორც ცოცხალი ადამიანი სააქაოს. და ყველა დანარჩენი, როგორც მკითხავები, ქადაგები, ეშმაკები, მკვდრების ადგომა სამარიდგან და სხვა თითქმის კიდეცა სჯერათ და არცა სჯერათ.

ხევში თითქმის ყველა სოფელს თავის ხატი ჰყავს, რომელსაც წელიწადში ერთხელ მაინც მოდის დღეობა თუ არ ორჯერ და სამჯერ, საზოგადოთ ეს დღეობები ზაფხულობით არის ხოლმე და მაშასადამე დიდი მხვეწარი მისდის და ღამის თევა არამც თუ შესაწუხებელი იყოს, არამედ დროს გასატარებლად და სასიამოვნოდ მიაჩნიათ ყველას. შეგროვდება დიდ ძალი ხალხი და ღამის სათევლათ რომელსამე მაღალ მთაში წავლენ, სადაც უეჭველად ნიში არის გაკეთებული და სადაც უწინ ხატები და იმათი სიმდიდრე ამორჩეულ დეკანოზებსა ჰქონდათ ხოლმე დამალული *) მოხევეებს მოჰყავთ უეჭველათ ბატკნები, მოაქვსთ ხაბიზგინები, ხაჭაპურები, ნაზუქები და ზედაშეთ ღვინო, საკლავებს იქვე დახოცვენ, ტყავები ხატისა არის და სარგებლობენ კი მღვდელ-ბლალოჩინები; ხორცს კი საერთო ხატის ქვაბებში ხარშვენ და მერე გვარეულობაზედ გაჰყოფენ, რომლებიც ცალცალკე დასხდებიან და სჭამენ პურსა. იქიდგან ყველანი დაბრუნდებიან იმ სოფელში, რომელს სოფელსაც ეკუთვნის ეს ადგილები და ეს ხატი, საღამომდის ერთი ტაშფანდურა, ერთი ლხინი და თამაშობა აქვსთ: საღამოსათვის კი მოგროვდება, კიდევ სხვა სტუმრებიც, რომლებიც, რომელისამე მიზეზით, ხატში ვერ წასულან. ყველანი შეგროვდებიან ერობაში, სადაც ჩამოვლენ ამ სოფლის ხალხი კომლზედ თითო კაცი, სხვა სოფლებიდამ მოგროვებულს სტუმრებს კომლზედ გაიყოფენ და წაიყვანენ შინ იქ უმასპინძლდებენ ამათ და ვისაც როგორი შეძლება აქვთ ისე დაუხვდებიან. რაც უნდა ღარიბი გლეხი იყოს, ამ დღეს ორს საკლავს მაინც და იმის საკმარის ხორაგს და სასმელს მოამზადებს და ყოველის ღონისძიებით ცდილობს, რომ არ მოაწყინოს თავის ძვირფას სტუმრებს და დრო კარგათ გაატარებინოს. ქალები კი თავ-თავიანთ ნათესაობასთან მიდიან და რამდენიმე დღე რჩებიან იქა. ესეთი დღესასწაულობა ზაფხულში ოც-და-ათამდინ მოდის და ასე რიგ რიგით ერთს სოფელს ესტუმრებიან სხვა სოფლელები და ძმურად დროებას ატარებენ. ამ ხარჯს აცდენილები არიან მარტოკა მკვდრის პატრონები, ერთი წლის განმავლობაში, რადგანაც იმათ ისეც დიდი ხარჯი მოსდისთ და რომლის გადაგდებაც ვერა ღონისძიებით ვერ მოუხერხებიათ, თუმცა ყველა აშკარათა ხედავს იმის მავნებელს ხალხზედ მოქმედებს და უსაფუძვლობაო.

სოფელმა სტეფან-წმიდამ, ამ საგანზედ თავი მოიყარა და განაჩენი შეადგინა, რომლითაც გადაწყვიტა, რომ როგორც მიცვალების დღეს, ისე მთელის წლის განმავლობაში, მოიშალოს დიდი წირვები და იმის სამაგიეროთ დასდვას დამარხვის დღეს ორი საკლავი ე. ი. ცხვარი და ორი ფუთი წმინდა ფქვილი, მარხვაში, საკლავების მაგიერად, ნახევარი ფუთი თევზი და სხვა წირვების მაგიერათ საფლავზედ მარტო ტაბლის გატანა და იქავ კურთხება. სასმელი სრულებით უნდა ამოკვეთილიყო, გარდა საფლავის მთხრელებისათვის არაყი, რადგანაც ისინი ხშირად დიდ ყინვაში მუშაობდნენ და მაშასადამე შეთბობა რითიმე დასჭირდებათ და თითო ბოთლი ზედაშეთ საყდარში.

ამ პირობების დამრღვევებზედ საჩივარი განსაკუთრებით სასოფლო სუდში უნდა შესულიყო, რადგან ხალხმა იცოდა, რომ სხვა ალაგებში საჩივარი უფრო გაგძელდებოდა კიდეც და სხვა-და-სხვა მიზეზების გამო იქნება არც გათავებულიყო, ვინც სასოფლო პირობას გადაიდოდა და განჩინებაში გადაწყვეტილზედ მეტს დახარჯამდა იმას ათი თუმანი უნდა გადაეხადა სოფლის სასარგებლოდ, ეს ფული-კი უნდა გახმარებოდა სასოფლო შკოლებს. თითქმის მთელმა სოფელმა მოაწერა ხელი ამ სასარგებლო დასაწყისს, არ მოაწერა ხელი მხოლოთ მამასახლისმა ალექსი ალიბეგოვმა და იმის ზოგიერთმა ნათესავებმა და სტეფან-წმიდის მღვდელმა მ. მელანაიძემ თავის ცოლის ძმებით, და კიდევ რამდენიმე პირმა მღვდლისა და მამასახლისის ჩაგონებით, რომელთაც ისე საწინააღმდეგოთ მიაჩნდათ ეს გადაწყვეტილება, რომ აქ ბუნტსაცა ხედავდნენ და რჯულის წინააღმდეგობასაც. ამოარჩიეს რამდე-

*) წინა ფელეტონებიდგან გაიგებდით, რომ ეს სიმდიდრე სულ ხევის ბლაღოჩინმა ბიტონიევმა, ჩუმათ და არავის შეუტყობლივ მოაგროვა და წაიღო.

...ცხოვრების მცოდნენი; მაგრამ ...და საუბედუროდ ეგეთნი მოხე-...ნი არ გვეღირსენ.

ჩვენში მოხელეებათ არიან: თათა-..., ურია, რუსი, ლეკი, სომეხი, ერ-...ის სიტყვით რა მილეთის ხალხიც ...ნებავსთ ქართველის გარდა. ზინდ ...ვათაც მოიქცნენ ეს მოხელეები ...ლხი მაინც იქვით უყურებს მათ ... განზე დგანან.

. . . . . . . . . . . .

ს. ჯ.

## წერილი რედაქტორთან

### I

ბატონო რედაქტორო!

ჩვენ შეწუხებულთა ჩვენის სოფ-...ის ჩუმლაყის მღვდლის ს. ი—შვი-...ისაგან, რომელიც ზომას გარდა-...ტებულს ერთი-ოთხად გვართმევდა ...ვრის საწერს. თუმნიდგან ოც-და-...უთ მანეთამდინ, კარის გასაღებს ...იდგან სამ მანეთამდინ, ეგრეთვე ...ცვალებულის წესებს და უზიარე-...ლთ დახოცვაზედ მივმართეთ სა-...ვრით ბლაღოჩინს კ. უპაძეს. მაგრამ ... უკანასკნელი ორი კვირით ჩაგ-...ედგა სახლში . . . . . არა ...რიგა-რა, ახლა კიდევ არქიერთან ...ჩივლეთ და არა ისმის-რა. ერთის ...ტყვით ჩვენ ამათ საქმილათ გაუჩე-...ვართ ღმერთს: მიცვალებულს სახლში ...ყოლებენ პირველშივე თუ არ ...ეცით იმდენი სამარხი, რამდენსაც თვითონ გვთხოვენ. კარგი ვისაც შეძლება აქვს, რა ქმნას ღარიბმა? ამათ კი არც ღარიბი ებრალებათ არც ობოლი. თვე გავა ერთს წირვა-ლოცვას არ მოგვასმენენ. ღამის სიცხეებმა დაგვწვას ერთს მოლებნას და პარაკლისს არ იხდიან და განცხრო-მით სძინავთ.

ველის-ციხელი მღვდელი და დიაკ-ვანი მოვიწვიეთ ჩემის ნათესავის და-სამარხავათ, ბატონო, პურის მირთმე-ვის მერმე გაგვებუტა მღვდელი და ჩხუბით სანამ სამი მანეთი არ წაგ-ვართო არ მოგვეშო: „ჩემი წინ გა-საძღოლი ეს არისო თორემ მიცვა-ლებულს დაგიწყევლითო და ჯოჯო-ხეთში გაგიგზავნითო“. ამის მერე დიაკვანი გაგვებუტა, ჯერ ერთი მა-ნეთი, მერმე ორი შევაძლიეთ, მაგრამ არ იკმარა, წავიდა ცარიელი. ჩვენ მამა-კაცებს არ გვინდოდა მიგვეცა მარამ დედა-კაცებმა შეგვარცხვინეს და ილაჯი წაილეს ბევრის წუწუნით: მიცვალებული წაგვიწყმდებაო და მე და ისაკ ბადახტიშვილმა გადაუტანეთ. ახლა ამ მღვდლის ი. ხ—ტონოვისა და ამ დიაკვნის ი. ბ—სა ამბავი რაც ჩვენ გავიგონეთ ყურმა ნუ მოისმი-ნოს! ველისციხის ქართველები სამასი კომლია და თურმე ეს ორნი სუ-ლიერნი მამანი აოხრებენ იმათ, ჩვენ-სავით საწყლებს. თურმე უქადაგებენ „ვილოცავთ წვიმა მოვაო და არ ვი-ლოცავთ გოლვაო; რასაც მოვინდო-მებთ იმ სასწაულს ვიზამთო“. ამას წინად ჩემმა ძმა-კაცმა მიამბო ჩემს მეგობარს მეჯვარეთ წავყევიო და სამი საათი თოვლში და სიცივეში დავყა-ვითო, რადგანც სანამ კარის გასაღები არ გამოგვართვეს სამი მანეთი და ეკკლესიისათვის ორი აბაზი, მინამ საყდარში არ შეგვიშვესო. საწყალი პატარძალი ჯერ იქ აკანკალდა სიცი-ვით, მერმე მოსვლის უმალვე გაცი-ვაო და მთელი ხუთი თვე სულ ლო-გინში იწვაო.

აქვე ერთს მოხუცებულს სვიმონ მემარნიძეს შვილი უზიარებელი მო-უკვდა; მეორე კაცის ძმა არ აზიარა: „საყდარში მოიყვანეო“, საყდარში წირვა არ იყო ოთხის დღის განმა-ვალობაში ყმაწვილი მოკვდა. ამ ნაი-რი მაგალითები ბევრია.

გთხოვთ გვიშველოთ, ბატონებო, თუ ღმერთი გწამთ, ბატონ-ყმობა გადავარდა და ახლა ამ მგლებმა ლა-მის დაგვჭამონ.

თქვენი მონა და მოსამსახურე ივა-ნე წანაწყენიშვილი, ამის თხოვნით უნაკლებოთა ვსწერ საქულ ბოდერ-ძოვი.

14 თიბათვეს.

### II

ბ. რედაქტორო!

№ 158 1880 წლისა, ივლისის 25-სა „დროებაში“ ვიღაცას ფოთიდამ მოუწერია რედაქციაში ერთი ანბავი, რომელშიაც სხვათა შორის სწერია:

„აქაურ მომრიგებელ მოსამართლის გზირს თავისი ცოლის მოკვლა გა-ნუზრახავსო რევოლვერით, მაგრამ დროზედ შევუტყვიათო და რევოლვე-რი ხელიდამ გამოუტაცნიათო“. რად-განაც ეგ ამბავი მე საკუთრად მეხება ამისათვის ვალდებული ვარ ავხსნა ეს ჭორი.

მე, ვითა გზირი აქაურ მომრიგე-ბელის მოსამართლისა, მოგეხსენებათ, დღე და ღამე დავდივარ უწყებაების დასარიგებლად. ამის მიზეზით იძუ-ლებულ ვარ რომ ყოველ შემთხვე-ვისათვის თან ვატარო ყოველთვის რევოლვერი, და ამიტომაც აღნიშ-ნულ დღეს საღამო ჟამს, როდესაც სახლიდან გამოსვლას ვაპირებდი ჩემს სამსახურის აღსასრულებლად, კედელ-ზედ ჩამოკიდული რევოლვერი ჩამო-ვილე დასატენად, რადგანაც ღამე უნდა მევლო. აგრეთვე ერთი ვინმეც გა-რეთ იყო გაჩერებული ამ რევოლვე-რის მყიდველი და ხმა უნდა ენახა სადმე ტყისაკენ და, რადგანაც ლაპა-რაკიც მქონდა ამ დროს საოჯახოთ ჩემ ცოლთან, უცებ შემოვარდა ჩემი სახლის პატრონის ცოლი, რომელიც, როგორც შევიტყვე, გასვრილ საყე-ლოიანი ყოფილა(?) და, თავის წესისა-მებრ დაიწყო ღრიალი, თუ ვითომც მე ჩემს ცოლსა ვკლავდი. ეს ჭორი მის ქმარმან დაიხვია ხელზედ და, ჩვეულებისამებრ თავისა, ხალხში გა-ავრცელა და მესტატიემაც ვითა ნაღდი მანეთი დაბეჭდინა(?) გაზეთში. და-სამტკიცებლად ჩემის სიტყვებისა ვე-ფუძნები მთავრობის დაჩუმებაზედ(!) ვგონებ საკმარისია.

გიგო ქორქია.

ფოთი.

---

...მე კაცი, რომელთაც თვალ-ყური ...და ედევნებინათ ამ საქმის კარგათ ...სრულებისათვის, მაგრამ ეს ხალხი ...უბედუროთ უფრო მოტიტინენი ...მოდგნენ, სანამ მოსაქმურნი და ...იჭირეს სწორეთ მამასახლისების ...ლობა—დუქნებში სმა და იქ ამ ...მეზედ ლაპარაკი. პირველს მოუკვდა ...მასახლისის ნათესავს და იმან და-...ხა ისევ ძველის ჩვეულებით, რად-...აც რისა ეშინოდა?.. მამასახლისი ...ვისი იყო და სხვებთან-კი ის დაუ-...თებდა საქმეს. ამ საქმისათვის და-...ნიშნულმა ზედამხედველებმა იჩივლეს ...ფლო სუდში, სოფლის სუდმა ...მტყუვნა მკვდრის პატრონი და ...უწყვიტა ჯარიმის გადახდა; მაგრამ ...მასახლისმა აღსრულებაში არ მოიყ-...ანა იმათი გადაწყვეტილება და მას-...რათაც-კი აიგდო ისინი. სდიც და ...ლხის სურვილიც მობძანდა ჭეეშე-...თის პრისტავი, რომელთანაც შეიტა-...ეს საჩივარი ამორჩეულებმა მამა-...ხლისის ყურად-უღებლობაზედ, იმას ...ცალა ვიღაც გლეხუჭუბის საქმი-...ის, რადგანაც შინაურულის წე-...ით, კაზარმების გაკეთება ჰქონდა იმ ...ის მინდობილი და მაშასადამე ...ულებისამებრ არავითარი ყურადღე-...ა არ მიაქცია მამასახლისის ქცევას ... საქმეში ბ. ჭეეშეთის პრისტავმა, ... თუ სტეფანლების საჩივარს ყურადღება არ მიაქცივა, არამედ თუ მართლა უკანონო იყო რამე მოხე-ვეების მოქმედებაში, არც-კი გაისარ-ჯა, რომ აეხსნა ან თითონ უკანო-ნობა რაში მდგომარეობდა და ან რა რიგათ უნდა მოქცეულიყვნენ მოხევეები, რომ თავის სურვილისთვის, თავიანთ შინაურს დარიგებაში, კა-ნონიერი მდინარეება მიეცათ. მაგრამ წინათვე ვსთქვი, კაცი ვინც ოცი წლის განმავლობაში დიამბეგ-პრის-ტაობაში გასუქდება, იმას განა ხალხი და იმათი ინტერესი-ღა აჯავრებს!..

ხევში არის ჩვეულება, მიცვალე-ბულზედ ტირილი დედა-კაცისაგან. ეს ისეთი ჩვეულება არის, რომელიც ხალხმა არც უნდა დაავდოს და არც დაივიწყოს, რადგანაც ეს ერთი სასარ-გებლო, მოაზრებული ჩვეულებათა-განია. მიცვალებულის სახლში შეიყ-რებიან დედა-კაცები, ერთი იმათგანი ტირის, ე. ი. სიტყვებს ანბობს და დანარჩენნი-კი ბანს ეუბნებიან. ამ ზარით ტირილის სარგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ მომთქმელს ლექ-სით სიტყვა უჭერია გარდაცვალებუ-ლის წარსულ ცხოვრებაზედ და საქ-ვეყნოთ იგონებს იმის ავ-კარგიანობას. ხალხს იქამდის ეშინიანთ ამ დღისა და სიკვდილის შემდეგ ტირილში ავათ მოხსენებისა, რომ მთელს თავის სიცოცხლეს ცდილობენ, ისეთი არა მოუხდეს რა, რომ გარდაცვალების შემდეგ ცუდათ მოიხსენიონ და იმის წარსული ცხოვრება საკიცხავათ და სასაყვედუროთ გახადონ. მომტირალი ანბობს გარდაცვალებულის ვაჟ-კაცო-ბაზედ, იმის თავგანწირულობაზედ მამულისთვის, იმის ძმურ სიყვარულ-ზედ- ის მოსთქვამს იმ ხიმიკურს ტა-ნის დაშლაზედ, რომელიც უნდა გა-მოიაროს ცხედარმა და როდისღაც ცოცხალი ადამიანი, რა რიგად უნდა გადიქცეს მიწათ. ეს მოხსენება და დატირება ხვეწნა კი არ არის ღმერთ-თან რომელსაც გარდაცვალებულის სულის სამოთხეში მიღებას ეხვეწებო-დნენ, არამედ ეს არის გარდაცვალე-ბულის ქების შესხმა გარდაცვალებუ-ლისა და ამის მოქმედება ყმაწვილე-ბისათვის სამაგალითოდ გამხდარი. ეს გახლავთ გამოსალმების სიტყვა იმ პირთან, რომელიც საუკუნოთ შორ-დება იმ ხალხს, ვისთვისაც სამსახური გაუწევია რამეში და სიკეთის დახსო-მება, ეს დაფასება საზოგადოებისაგან, თავის თვითეულის პირის მოქმედება-სა ღირს-შესანიშნი და საქებური ჩვეულებისაგანი არის. სხვათა შორის კაცი ვინც ქამანდრობის *) სახელს მიიღებს ის აღარავისაგან არ დაივიწ-ყებდა შვილისაგან შვილის-შვილამ-დინ გადაიცემა სანაქებო ქამანდარისა და იმის, მტრის გამცემელს ტყვიაზედ ანბავი; სხვათა შორის არის კიდევ ერთი გვარი მიცვალებულის მოხსე-ნება, რომელიც მე მამწონს, როგორც სასარგებლო ხალხისათვის ჩვეულება. ეს გახლავს გარდაცვალებულის ვაჟ-კაცის თოფით მოხსენება, ე. ი. დაა-ყენებენ ნიშანს, მთელი ხევის მეთო-ფურნი შეიყრებიან და ესვრიან ამ ნიშანს. პირველად ვინც მოარტყამს იმას მისცემენ მკვდარის პატრონები 1—3 მანეთამდინ, მეორის 80 კაპ. 2 მანეთამდინ და ამ გვარად დაური-გებენ ერთს თუმნამდინ ფულს, ეგ არც მკვდრის პატრონისათვის არის შე-საწუხებელი და ხალხსაც თოფის სროლასა სჩვევს, რომელიც შეიძლე-ბა როდისმე დასჭირდესთ მოხევეებს, თავის მოძულებული ოსმალებისა-თვის.

ა. მოხსუბარიძე.

(გაგრძელება)

*) ქამანდარი არის გამორჩეული თო-ფის მსროლელი.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფებს მიიღებენ დილის ცხრ საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

**ორშაბათს:** ექიმი გავრონსკი—ქალის ავათმყოფობისა, ლისიცევი—შიგნეულების ავათმყოფობის, როტინიანცი—ქალისა და ყმაწვილების ავათმყ., ქიუხარიანცი—ხირურგიულ და თვალის ავათმყოფობ., ბაბაევი—ნერვების ავათმყ., და შტემბორსკი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა.

**სამშაბათს:** ექ. მინკევიჩი — ხირურგიულ ავათმყოფ., ყურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფ., რეიხი—თვალისა, ბაბოვი—გულისა და შინაგანის ავათმყოფ., ბახუტოვი—ზებიობის, ქალისა და ყმაწვილის ავათმყოფ., გერმიშევი—შინაგანის ავათმყოფობის.

**ოთხშაბათს:** გავრონსკი—ქალის ავათმყოფ., ლისიცევი და რუდკოვსკი—შინაგანი ავათმყოფ., ასტვაცატუროვი—ალის, შტემბორსკი—ვენერიულ და კანის, პომერანცოვი—გულის.

**ხუთშაბათს:** ყურავლევი—ყელისა და ჟულას ტკივილის, როტინიანცი ქალისა და ყმაწვილის ავათმყო., ქიუხარიანცი — ვენერიულ და საშარდე ასოების ავათმყოფ., გერმიშევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

**პარასკევს:** გავრონსკი — ქალის ავათმყოფობის, მინკევიჩი — ხირურგიულის, ლისიცევი—შიგნეულის, ბახუტოვი—ზებიობის, ქალისა და ყმაწვილების, ბაბოვი—ნერვების და შიგნეულების, ასტვაცატუროვი—ვენერიულ და კანის, შტემბორსკი — ვენერიულ და კანის ავათმყოფობისათვის.

**შაბათს:** ყურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა, რეიხი—თვალის ბაბოევი—გულისა და შიგნეულების და გერმიშევი — შიგნეულისა.

ამას გარდა ექიმი ბაბაევი მუქთად სწამლობს ღარიბ ავათმყოფებს ოთხშაბათობით საღამოს 5 საათიდამ 9-დიმ (სერგიევის ქუჩა, ბაინდუროვის სახლი)

დოქტორი ყურავლევი მიიღებს ღარიბ ავათმყოფებს მუდამ დღე საღამოს 6 საათიდამ 7-მდინ სამკურნალოშივე.

კბილის ექიმი ობრესტი ავათმყოფებს, ვისაც სამკურნალოდამ ქაღალდი ექნება, მუდამ დღე მიიღებს თავის სახლში (გოლოვინის პროსპექ., ზარაფოვის სახლი).

მუდამ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ 11-მდინ სამკურნალოში არის ბზეია ავათმყოფი ქალებისათვის.

## განცხადებანი

—

**სომეხის ნერსესის** სემინარიის მზრუნველთ რჩევაში ამ მარიამობისთვის 27-სა საღამოზედ 7 საათზედ არის დანიშნული ტორგი (უპერეტორშკოთ) იჯარით მისაცემათ იმავე შკოლის მამული (შემოწირული მიცვალებული არუთინ ოქროევისაგან) რომელიც იპოვება რიყეზედ **№ 46.** მსურველს შეუძლიან წაკითხვა პირობისა იმავე სემინარიის კანცელიარიაში ყოველ დღე, კვირისა და უქმ დღეების გარდა, დილის 10 საათიდან ვიდრე შუადღის 12 საათამდინ.

(3—1)

---

**სიღნაღის მაზრის მარშალი ამით მოიწვევს სიღნაღის მაზრის თავად აზნაურთა მობძანდნენ 31 აგვისტოს, კვირას, სოფ. ბაკურ-ციხეს, საკუთარ სახლში, თავად-აზნაურთ შვილების სწავლა-განათლების საშუალების აღმოსაჩენად.**

(10—2)

---

**მივიღეთ** დიდ-ძალი **ჩაი** პირ-დაპირ პლანტატორებისაგან—**ინგლისის მაღაზიაში.**

იქვე იყიდება წყურვილის ციტრატ-მაგნეზია, კარბოლის აბები და გადამდები სენის წინააღმდეგი წამალი.

(10—5)

---

## ინგლისის მაღაზია

*Maison de confiance*

შეადარეთ ჩვენი ჩაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ჩაის—1 მ. 40 კ.

| | |
|---|---|
| — — —1—20 | — —1—60 |
| — — —1—40 | — —1—80 |
| — — —1—60 | — —2— „ |
| — — —1—80 | — —2—50 |
| საუკეთესო—2— „ | — —3— „ |

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები ქაღალდი შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოში, კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ხდის.

(100—11)

---

შემთხვევით იყიდება

## ადგილი

რომელზედაც ამ ჟამად ბაღია გაშენებული და რომელიც სამოსახლოთ გამოდგება. ეს ადგილი მდებარეობს წყლის-პირა ქუჩაზედ, საზაფხულო კრუჟოკთან, სიგრძით 17 საჟენი და სიგანით 50 საჟენი. შეიძლება ნაწილ-ნაწილად გაიყოს და ისე გაიყიდოს.

ფასისა და დაწვრილებით პირობების შესატყობლად მსურველს შეუძლიან მიმართოს ბ. ლიპინსკის, მლიისაველის ქუჩაზე, სახლის № 132.

(10—10)

---

სამზღვარ-გარეთის ყოველ-გვარ სავაჭრო სახლებთან პირადად ნაცნობობამ და პირდაპირის კავშირის ქონებამ, შეგვამლებინა დავაწყოთ ქ. ქუთაისში გაჭრობა

საკუთრივ

## სამზღვარ გარეთელ მოდის საქონლისა

*NOUVEAUTÉS PARISIENNES*'-ის

ფირმით

ვაცნობებთ რა ამას აქაურს პატივცემულს საზოგადოებას, ვიმედოვნობთ, რომ ის არ დაგვტოვებს უყურადღებოთ და ღირს გვყოფს მოგვმართოს საჭიროებისა-მებრ.

ჩვენის საშუალობით შეიძლება სამზღვარ გარეთიდამ ყოველ-გვარ მანქანების, აღეჟეულების, ფორტეპიანოთა და სხვ. ნივთების დაბარება.

ჩვენი მაღაზია არის გიმნაზიის და სათავადო ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ საკუთარს სახლში.

ივანე ნიკოლაძე შვილებითურთ.

---

**ციტრატ - მაგნეზია — წყურვილის მოსასპობელად მოიკითხეთ ინგლისის მაღაზიაში.**

(25—10)

---

**მურაბა** გემრიელი, კანფეტების ყველი, მაგნეზია შერბეთი წყურვილისათვის, ჭურჭლეული, ჩაინიკები, გრაფინები და სხვ. და სხვ. 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე იყიდება ინგლისის მაღაზიაში.

**კარბოლის** პარაშოკი, კარბოლის წყალი და საპონი გადამდებ ავათმყოფობისათვის, მზის საათები დროების საჩვენებლად—ფასი 1 მან.—ინგლისის მაღაზიაში.

(40—35)

---

**პატენტიანი ჩხოტკები**

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები საჩუქრებით 2 მანეთიდამ; სარჩევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ-დამ; ფეფერები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუზ; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში.**

(100—40)

---

იყიდება

ახალი წიგნი

სამწერლო

## თაიგული

შინაარსი:

**1.** ბაბუას თხოვნა (ლექსი) მ. ფაზელისა **II** უბედური შემთხვევა (ამბავი) ჟ—სა. III ჩემს სურათებზე (ორი ლექსი) მ. ფაზელისა. **IV** მ... სადმი (ლექსი) ბ—სა. **V.** ფერი ფერს—მადლი ღმერთს სამ მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ალექსი ჭიჭინაძისაგან. **VI** ჩივილი ხვედრისადმი (ლექსი) რაფ. ერისთვისა. VII ხასიათის გავლენა, სამუელ სმაილისა VIII უკითხავი პასუხი (ლექსი) ნ. დ—სა. **IX** ახალი მოვლინება ჩვენს ლიტერატურაში. X მტარვალებს (ლექსი) აკაკისა.

ტფილისში, ჩარკვიანის წიგნის და აზნაუროვის მაღაზიაში გოლოვინის პროსპექტზე და „არარატის“ წიგნის მაღაზიაში მიხაილოვის ხიდთან.

ქუთაისში პ. ფ. გერარდის წიგნის მაღაზიაში.

ფასი თითო წიგნისა ათი შაური, გაგზავნით სხვა ქალაქებში სამი აბაზი.

---

**დაიბეჭდა და იყიდება** ვართანოვის წიგნის **მაღაზიაში**

## ალექსი

ზღაპარი აკაკისა

ფასი თითო წიგნისა 20 კ.

---

შენიშვნა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

მაკ - მასტერი

ერთობ ბევრი იყიდება, ამის გამო **ინგლისის მაღაზიაში** ეს წამალი ახლა 2 მანეთად ღირს.

(100—28)

Дозволено цензурою. Тифлисъ 18 Августа 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი